სახალხო გაზეთი

№ 679 სამშაბათი, 21 აგვისტო, 1912 წ. № 679

განცხადების ფასი: წვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდული წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პატარა-პატარა ... პარაკები შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი" ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 მარიამობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მ. 75 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 პაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.
გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.
რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

17 ამა მარიამობისთვეს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილი.

ცოლი მისი **დარია გიორგის ასული,** ცოლის **ძმა ექიმი ნ. მრევლიშვილი მეუღლითურთ,** და მისი **სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა ქმრით გიორგი აბრამის ძით,** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს და სთხოვენ პატივი სცენ დადასაფლავებას დაესწრნენ 21 აგვისტოს დიდუბის ეკლესიაში. საგურამოს ქ. № 21. (2—2)

ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალოგბას",
მიღება და ჩაწერვა ყოველ დღე შემდეგს დროსა და ადგილს.
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ. 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29.
სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკევობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11.
მიიღებიან: მოწაფენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.
ვაარსებ აგრედვე ქართველ მუშათა გუნდს.
(12.1435.7) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

ტფილისის კერძო სამკურნალო
ძლენიშვილის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ფეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო
ტელეფონი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. ვ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ბ. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ოფთალმოსკოპია (ფერადი ფილტრებით)	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო და ქალთა სასნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ბ. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.
	მიქელაძე შ. ბ. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ.-წამალ. ექიმ.	**გედევანიშვილი მ. ბ.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ...	**ათინიანცი ნ. ბ.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ. ...	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კანონ. ...	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამეკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა'მანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტაციები, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" **წამლის შესაბამენება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.97)

საჩქაროდ იყიდება
სახლი
ათ ოთახიანი, 200 ოთხ-კუთხ საჟენ მიწით, მშვენიერ ჰაერიან, მაღლობ ადგილას, ქართულ სათაგდ-აზნაურო გიმნაზიის ახლოს, ყოველგვარ სიპირო მოწყობილობით (ავეჯის გარდა). სახლი უვალოა. დაფასებულია 12 ათას მანათად. იყიდება 9 ათას მანათად, რომლის გადახდაც ნაწილ ნაწილ შეიძლება. ცნობებისათვის მიმართეთ **გაუჟნიას:** ტფილისი, ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, ტელეფონი 925, დილის 8—9 ს. და ნაშუადღევის 4—6 საათამდე. აქვე ქირავდება 3 ოთახი თავის მოწყობილობით. (2—55—2)

საზაფხულო ახალი კლუბი თეატრი.
სამშაბათს 21 აგვისტოს 1912 წელს
ორკესტრის გენეფისი. გამართულ იქნება სიმფონიური საღამო ქ. თამარა ძნელაძის (სოლისტკა) და ბ. ღვინიაშვილის (ბარიტონი) და ბ. ს ი. პრესმანის ლოტბარობით. დაწვრილებით პროგრამაში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ფასი თეატრის ბილეთებისა 1 მანეთიდან—20 კაპეიკამდე. სტუმრები იხდიან კლუბში შესასვლელ: კაცები—50 კაპ., მანდილოსნები, სტუდენტები და სამუალო სასწავლებლის მოწაფენი—25 კაპ. (2—1445—2)

ბაღი მუშტაიდი
დღეს, 21 აგვისტოს **უკანასკნელი დღე**
ხარფუხის ქართულ სცენის მოყვარეთა წრის თანხის გასაძლიერებლად
გამართულია
სეირნობა
დიდის საინტერესო პროგრამით.
ყვავილები, კონფეტები შუშხუნები და სხვა და სხვა სათამაშოები. უფასო სინემატოგრაფი. დასაწყისი საღამოს 5 ნახ. საათიდამ. შესვლა უფასოა.
ადმინისტრატორ-გამგენი—ბ.ბ. ი. გ. ბასტიანოვი და გ. ფირუმიანი. (1—622—1)

ამა წლის აგვისტოს 21-დან გამოდის ქუთაისში ყოველ დღიური
საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი
„დილა".
გაზეთი ღირს ჩვენში:

წლიურად . . .	7 მ. —	საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი ღირს, ვინემ ქუთაისში ღირს.
ნახევარი წლით .	4 მ. —	
სამი თვით . . .	2 მ. 40 კ.	
თვიურად . . .	— 90 კ.	
ქუთაისში თვიურად	80 კ.	

ცალკე ნომრის ფასი ყველგან 5 კ.
21 აგვისტ. წლის დამლევამდე გაზეთი ღირს 3 მ. განცხ. ფასი: პეტიტის სტრიქონი პირველ გერდზე 15 კ., უკანასკნელზე 10 კ., თვიურად და წლიურად მორიგებით. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ერთხელ 3 მ., ნაშუადღევის სამი საათის შემდეგ 4 მ.
ფული უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ შემდეგი ადრესით:
Кутаисъ Михайловская ул., Мелитону Петровичу Асатіани.
სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქცია იმყოფება ალექსანდრეს ქუჩაზე, სახლი თედორაძისა № 6 (3—454—3)

პროგიმნაზია ვ. ა. ლევანდოვსკისა
მთავრობის სავაჟო ექვს კლასიან პროგიმნაზიების უფლებებით.
ანასტასიევის ქუჩა № 14, ტელეფონი № 8—04.
მისაღები გამოცდა დანიშნულია 1 და 3 სექტემბერს, განმეორებითი გამოცდა—4 ენკენისთვეს დილის 9 საათიდან. სამადლობელი ლოცვა და მეცადინეობის დაწყება 5 სექტემბერს, დილის 9 საათიდან. ის მოწაფენი რომელნიც თავის დროზე არ გამოცხადდებიან და დაგვიანების მიზეზს არ გვაცნობებენ, გამორიცხულად ჩაითვლებიან. (3.1431.3)

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში ოცდა-შვიდიდამ ამ მარიამობის თვიდამ პირველ ენკენისთვემდინ მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი ყმაწვილები არა ნაკლებ ათის წლისა. დამაარსებელი და მზრუნველი სკოლისა ი. წინამძღვრიშვილი. (5—1443—1)

მიიღება ხელის მოწერა
„მოლიპულ გზაზე" ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.
(რომანი)
600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი,** შემდეგ კი ფასი ერთი-ოროად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. სახზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში" და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის" კანტორაში და ი. კვალიაშვილის ფოთიაქში, აგრედვე კანტ. „იმერეთის" ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—3)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში
ისყიდება სახელმძღვანელო წიგნები: (20% დათმობით)

გოგებაშვილის დედა-ენა I		იოსელიანის ლოცვანი ყდით	30 კ.
უყდო . . . . . ფ.	10 კ.	„ საღმრთო სჯული	— 50 კ.
„ „ I ყდიანი—	15 კ.	ერისთავი გ. რჩეული თხზულებანი	60 კ.
„ „ II — —	40 კ.	ხახანაშ. ქართ. სიტ. ისტ. 1 მ.	25 კ.
„ ბუნების კარი . . .	70 კ.	აკაკი. იგავ არაკნი	50 კ.
„ Методика къ Русскому слову	40 კ.	ვეფხის ტყაოსანი	60 კ.
„ Русское слово I . .	40 კ.	კაცია-ადამიანი?	20 კ.
„ „ „ II . .	50 კ.	გლახის ნაამბობი	20 კ.
გომელაური. ქართველი მწერლები . . . . . I . . .	80 კ.	კაკო ყაჩაღი	5 კ.
„ „ II	1 მ. 45 კ.	ქართ. წერის დედანი სახატავი ნიძუშებით	25 კ.

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1411.104).

გამოსულია და იყიდება
არჩილ ჭორჭაძის თხზულებანი:

I	ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი „ „ „	75 კ.
II	„ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „	80 კ.
III	„ „ნაამბრევი" „ „ „ „ „ „ „	65 კ.
IV	„ წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. „	85 კ.

საგურთალოზე
მშვენიერ ალაგას,
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.
(წ. 1020 368)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,
ბ. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
ბ. ბ. ბოთოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.
შ. ბ. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
ნამლოგა „606"-ი.
(წლ—1018—59).

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.
ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.
ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
მღებრიშვილი—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
ბრგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.
მონსე. ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
ნოვიცკი. ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
კალამკაროვი. ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 საათ.
უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს
ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
რუდენკო. შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.
ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
იოსელიანისა ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
ბესსერი შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
ბაგდოევისა, კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
ლიმონი. კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
გურგენიძე შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.
კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს
საღამოს 5—7 საათამდე.
კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წიდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 22)

მედიცინის დოქტორი
ი. ბ. ჩუდნოვსკი
სინჯავს შინაგან და ნერვებ აშლილ ავადმყოფებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 11 საათ. და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
კიროჩნი ქუჩა, სახ. № 18, ტელეფ. 1090. (6—1453—1)

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებებს** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კაბეთის ქ., № 6.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო
მიხ. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—68)

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25 1178 93)

ექიმი **კბილისა აბასთუმანში ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—46)

ექიმი **ქალი დ. გ. საყვარელიძე.**
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9.
(25.595.6)

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

ექიმი **კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 115 დიდუბე). (თ.—1049—124)

ექიმი **ს. ი. გაძელიშვილი** შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—28)

ექიმი **აბასთუმანში ე. ი. მინასიანცი** იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (წ. 1347.227)

ექიმი **პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.182)

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ნამესტნიკის ჩამოსვლა.** 19 აგვისტოს, დილით, საგანგებო მატარებლით კისლოვოდსკიდან ტფილისში ჩამოვიდა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი. სადგურზე ნამესტნიკს მიეგებნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყების უმაღლესი წარმომადგენელნი და მრავალი ხალხი.

✦ **ეგნატე ხრამელაშვილის გარდაცვალების გამო.** განსვენებულ მოღვაწის ეგნატე ხრამელაშვილის ნეშტს მიწას მიაბარებენ დღეს, 21 აგვისტოს. დილის 9 საათზე სახლიდან ცხედარს წასვენებენ დიდუბის ეკლესიაშ., სადაც წირვის შემდეგ გადახდილ იქნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

✦ **ნატახტარის წყაროების დათვალიერება.** ქალაქის მამები ამ ჟამად დიდს საგონებელში არიან ჩავარდნილი: ავჭალის წყალსადენი ქალაქის მცხოვრებთ არ აკმაყოფილებს და საჭიროა წყლის შოვნა. „მამებიც" დაეძებენ წყალს. ამას წინად იყვნენ წალკის წყაროების დასათვალიერებლად, საიდანაც წყლის გამოყვანა 10—15 მილიონ მან. ხარჯს ითხოვს. 19 აგვისტოს კი ქალაქის გამგეობის წევრთა თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვისა და მ. ნ. ათაბეგოვის მეთაურობით ხმოსნები ნატახტარის წყაროების დასათვალერებლად წავიდნენ. წყლის მაძიებელნი მცხეთაში გადმოხტნენ და სამხედრო გზით გაემართნენ ნატახტარისკენ, რომელიც მდებარეობს მცხეთიდან 8 ვერსის მანძილზე. ხმოსნებმა წყაროები დაკვირვებით დაათვალერეს. წყალი საერთოდ სასმელად მოეწონათ სულ აღმოჩნდა 23 წყაროა, საიდანაც გადმომდინარე წყალი ბოლოს დროს სამ მიმართულებად (ძღინარედ) მიდის და შემ-

დეგ არაგვს ერთვის. თითო მდინარეს შეუძლიან მიცემა 5—7 მილიონ ვედრო წყალისა დღეში,—სუყველას კი 18—25 მილიონ ვედრომდე. აქედან წყალის გამოყვანა ტფილისში ბევრად უფრო ადვილია ვიდრე წალკიდან, ხმოსნები 19 აგვისტოსვე, საღამოს 10 საათზე, ტფილისში დაბრუნდნენ.

✦ **კიდევ მეპურენი.** მეპურეთა, განსაკუთრებით მეფურნეთა თავგასულობა ყოველს საზღვარ გადასცდა. თავობითვე დაიწყეს ძვირად გაყიდვა პურისა და ახლაც ასე იქცევიან. გუშინ და გუშინწინ ოქმი შეუდგინეს 115 მეფურნეს. ისინი იძახიან, არამც თუ ახლა ვყიდით პურს ძვირად, შემდეგშიც ასე მოვიქცევითო. გუშინვე პოლიცმეისტერმა ამ საგნის თაობაზე გუბერნატორს საგანგებო მოხსენებით მიმართა.

✦ **მტკვარში დაიხრჩო** ბანაობის დროს საჩხერის საზოგადოების მცხოვრები მინა ექვთიმეს ძე გელაშვილი 18 წლისა. დამხვრჩალის გვამი ვერ იპოვეს.

✦ **ბეითალთა რიცხვი** ტფ. გუბერნიაში დღეიდან ოცი იქნება. ბორჩალოს მაზრაში იქნება ექვსი ბეითალი, ტფილისისა და გორისაში სამ-სამი, დუშეთისაში და სიღნაღისაში ორ-ორი, ახალქალაქისა, ახალციხისა, თელავისა და თიანეთისაში—თითო.

✦ **შეიპყრეს** ტფილისში სარქის ალექსანდრეს-ძე ოთაროვი და ნიკოლოზ კვაწიას-ძე კვანტალიანი, რომელთაც ერევნის რკინის გზაზე მატარებლიდან 60,000 მანეთის ფასიან საქონლისა და 14,800 მან. ფულის გატაცება ბრალდებათ.

✦ **ბორჯომის მატარებლის დამსხვრევის დროს დაღუპულ მემანქანის დუბინინისა და მის თანაშეწმწის კონდრატენკოს ნეშთი** 19 აგვისტოს მიწას მიაბარეს კუკიის სასაფლაოზე.

✦ ნამესტნიკის საბჭოს წევრი ბ-ნი **დუუნკოვსკი** დღეს პეტერბურგიდან ტფილისს ჩამოვა.

✦ **უვარგისი ნესვი.** ბოქაულმა ჩიხლაძემ ქალაქის მეხუთე საპოლიციო უბანში გუშინ 230 ცალი უვარგისი ნესვი მოსპო.

✦ **უფასო სახალხო სეირნობა მუშტაიდში** დღეს, 21 აგვისტოს, მუშტაიდის ბაღში სეირნობის უკანასკნელი დღეა ხარფუხის სცენის მოყვარულთა წრის სასარგებლოდ. სეირნობა დაიწყება ნაშუადღევის 5½ საათზე.

✦ **სამამულიშვილო ომის დღესასწაული ტფილისში.** დღესასწაული გაიმართება 26 აგვისტოს. ამ დღეს შემოსილი სამღვდელოება სიონის საკათედრო ტაძრიდან ლიტანიით გაემართება დიდუბის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქნება პარაკლისი.

— ქალაქის გაჭეობა ამ ჟამად ადგენს დაწვრილებით დღესასწაულის პროგრამას. გაიმართება, სხვათაშორის, ლექციები და სეირნობა.

✦ **ს. ფ. გოფმანი,** კავკასიის ოლქის გზათა უფროსი, ტფილისს დაბრუნდა.

ტელეფონის გადაკეთებას ტფილისში მოკლე ხანში დაასრულებენ. როგორც მკითხველებს თავის დროზე ვაცნობეთ, ტელეფონის მავთულები მიწაშია გაყვანილი. ტელეფონის გადაკეთება ხაზინას 400,000 მანეთამდე უჯდება.

✦ თვრამეტ აგვისტოს ტფილისში 81 უპასპორტო შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

✦ **მებამბეთა კრების გამო.** 17 აგვისტოს ნამესტნიკის თანაშემწის სენატორ ვატაცის თავჯდომარეობით მებამბეობის საქმის მცოდნე პირთა თათბირი მოხდა. კრებას დაესწრნენ აგრედვე წარმომადგენელნი კავკასიისა, ქართულისა და სომხურ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისა და ტფ. ბანკებისა, ითათბირეს მებამბეთა მომომავალ კრების გამო. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების პრეზიდენტმა უგანათლებულესმა თავადმა პ. ა. გრუზინსკიმ აცნობა დამსწრეთ, სამეურნეო საზოგადოებათა შეერთებულმა კრებამ, რომელიც 16 აგვისტოს მოხდა, საჭიროდ სცნო, მებამბეთა კრება ნოემბრისთვის გადაიდოს, იმ დროსთვის, როდესაც სოფლის მეურნეები სამუშაოდან განთავისუფლებულ იქნებიანო. ამ საკითხის თაობაზე დამსწრეთ ბევრი იკამათეს, მაგრამ საბოლოოდ ვერა გამოარკვიეს რა. ამის შემდეგ გამორკვეულ იქნა, რომელი საზოგადოება, ან ბანკი რა მოხსენებას წარუდგენს მომავალ კრებას.

ქუთაისი.

✦ თავად აზნაურთა წინამძღოლი თ-დი ფარსადან მიქელაძე მოსკოვს გაემგზავრა.

✦ ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში გირავნობის ფურცლების გასანაღდებლად სხვა საკომისიო ოპერაციებისათვის პირობით შეეკრა საურთიერთო საზოგადოებათ ცენტრალურ ბანკს.

✦ 24 აგვისტოს, ნაშუადღევის ორის ნახევარზე № 35/4 მატარებლით **ქ. ქუთაისიდან კიევს გადის კიევის კომერციული ინსტიტუტის ექსკურსია** სოკრატი დმიტრის ძე მაქაძეს ხელმძღვანელობით.

გორი

✦ ჩვიდმეტს აგვისტოს ღამის პირველ საათზე გორის ხიდიდან მტკვარში გადავარდა და **დაიხრჩო** ერთი უცნობი. როგორც ამბობენ, ის იყო შაქრო თაბუნიძე, რომელიც აქამდის ბაქოში ვაჭრობდა და ამ ბოლო დროს დაბრუნდა გორში, თავისს სახლში.

✦ გორის **დედათა გიმნაზიაში** მისაღები და განმეორებითი გამოცდა დაიწყება 24 აგვისტოს, ხოლო სავალო გიმნაზიაში 25 აგვისტოს.

✦ გორში დამთავრდა და ამ დღეებში სრულიად მოქმედებას დაიწყებს **საავადმყოფო.** ამბობენ მხოლოდ სადოსტაქრო განყოფილება იმოქმედებსო. ეს მით უფრო საჭიროა, რომ აქამომდე გორში სპეციალისტი დოსტაქარი არ იყო.

კოტე ბაქრაძის დასაფლავება

(ქუთაისში)

კვირას, დილის ცხრა საათზე ფართო ეზო განსვენებულის სახლისა ხალხით გაივსო, განსვენებულის გვამი უახლოვესმა მეგობრებმა და ნათესავებმა ეზოში გამოასვენეს, საცა მცირე პანაშვიდის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ახალგაზდა კაცმა ქუთაისის ტუსაღთა სახელით. მან აღნიშნა განსვენებულის მზრუნველობა, რომელსაც იგი იჩენდა სატუსაღოს ბიბლიოთეკის დაარსებასა და გაძლიერებაში.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქალაქის თავმა ილია ჩიქოვანმა.

მოგვყავს ბ-ნი ჩიქოვანის სიტყვა:

„ძვირფასო ამხანაგო! საოცარია, საოცარი შენი სიკვდილი თავის მოულოდნელობით, შემზარავია თავის უსამართლობით, საშინელებით!

როდესაც ამ ერთი თვის წინედ სოფლისაკენ გამგზავრებისას გეთხოვებოდი, განა შემეძლო წარმომედგინა რომ ეს გამოთხოვება იყო უკანასკნელი სამუდამო? როგორ ვიფიქრებდი, თუ შენ სატირლად მალე დაბრუნება მომიხდებოდა.

იქნება, ძვირფასო ამხანაგო შენთვის სიკვდილი სანატრელიც იყო ძას შემდეგ, რაც შენი სასოება ჰირმშო შვილის დაკარგვით დაწყლულებულმა გულმა იგრძნო საშინელი ობლობა და სამუდამოდ დაჭკარგა სიმშვიდე და ხალისი... იქნება ის ქვეყანა უფრო სატრფიალო და სანატრელი შეიქმნა, რადგან იქ გეგულებოდა შენი საყვარელი ასული...

მაგრამ ჩვენ, შენმა ამხანაგებმა, რითი ვინუგეშოთ თავი? რით ინუგეშონ შენმა მოყვარულმა დებმა და სხვა ნათესავებმა?

სირცხვილი, სირცხვილი ჩვენ, რომ ამხანაგს არ მოგიარეთ, მეგობრულად არ მოგეფერეთ და ტანჯვით დაკოდილს გულზე თანაგრძნობის მალამო არ დაგადევით!

სირცხვილი იმ საზოგადოებას, რომელმაც თანაგრძნობის მაგიერად შენ, მისი ერთგული მოსამსახურე, უპატივცემულობით, უკადრის, მხეცური მოქმედებით საფლავის კარამდე მიგიყვანა! სირცხვილი იმ პირთ, რომლებიც სხვის დაწესებულებაში მოკრძალებით და პატივისცემით შედიან, საკუთარს დაწესებულებას და მის მოსამსახურეს კი უპატივცემულობით თავხედობით საპარცხვინოდ შეურაცხყოფენ!

განა კოტე ბაქრაძე ამისთანა შეურაცყოფის ღირსი იყო? განა კოტესთანა ადამიანს ასე აფასებენ სხვა, თავის ღირსების შემგნებელ საზოგადოებაში?

დავკარგეთ სამუდამოდ, ჩვენის ხელით მოვკალით ჩვენი საყვარელი კოტე, ჩვენი სანდომიანი, პატარა კოტე! პატარა ტანით, ხოლო აზრით, მისწრაფებით, მიმართულებით გაცილებით უფრო დიდი...

კოტე ბაქრაძე გულშეუცვლელი წარმომადგენელი იყოს ჩვენში იმ მცირე მოწინავე ჯგუფებისა, რომელმაც სამოციან წლების ბრწყინვალე იდეებით გააცისკროვნა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება.

სიყრმიდანვე აიყოლია კოტე თავის უბედურ ქვეყნის ბედმა ᲥᲘᲣᲑᲝᲡ ფიცრამდე ეს კეთილი ადამიანი თავის ქვეყნის სიხარულით ხარობდა, მის ტანჯვით იტანჯებოდა.

ნიშანდობლივ თვისებას კოტეს ხასიათისას შეადგენდა მოძრაობა, დაუდგრომლობა. ის დაუღალავი მებრძოლი იყო ყველა ჩვენს საზოგადო საქმეებში. სამაგალითო პრაქტიკულის ნიჭით და დიდი გამოცდილებით აღჭურვილი ჩვენი კოტე ყველა საზოგადო საქმეებს თავს დასტრიალებდა, თავის სამშობლო გაგიჟებით უყვარდა. კოტე სიჭაბუკისას ევროპაში სწავლას იძენდა, შვეიცარიის მთებსა და მდელოებს მხურვალედ გუში იხუტებდა, რადგანაც ის მდელოები კეკლუც სამშობლოს აგონებდა.

საზოგადოებრივმა ძარღვის ცემამ კი ბაქრაძე საზოგადო დაწესებულების მოსამსახურედ გახადა, მაგრამ როგორ იფიქრებდა საბრალო კოტე, რომ მისი სატრფიალო დაწესებულება მისთვის შავ სამარედ გადაიქცეოდა.

მშვიდობით, კარგო, ცნობიერო ქართველო! მშვიდობით ჩვენი დაბეჩავებული საზოგადოების სასარგებლო წევრო! შეგვინდე, გვაპატივე ჩვენი საოცარი გულქვაობა, გვაპატივე ჩვენი სამარცხვინო უმადურება!“.

შემდეგ ამისა პროცესია ორპირის ქუჩით მივიდე ქალაქის თვითმმართველობის ბინაზე, საცა მცირე პანაშვიდი იყო გადახდილი. აქედან პროცესია მივიდა მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში.

წირვის გადახდისა და ანდერძის შემდეგ, როცა განსვენებული ეკლესიის გალავანში გამოასვენეს, მას მიჰმართა მგრძნობიერისიტყვით ჩვენმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა, რომელმაც არა ერ-თი და ორი აატირა მდუღარე ცრემლით.

მოგვყავს დავით კლდიაშვილის სიტყვა:

„ძვირფასო მეგობარო! გული სწუხს, სწუხს უზომოდ, რომ უგუნურმა, მხეცურმა შემთხვევამ გამოგვთიშა შენი თავი; გამოუთქმელად გმინავს გული, რომ ჩვენ ვეღარ გიხილავთ ჩვენს შორის ჩვენს ძვირფას, საყვარელ კოტეს ნათელი გონებით, სულით წმინდას, ლმობიერს, პირამთქმელს, გულკეთილ, კაცთმოყვარე ენერგიით სავსე გულწრფელ დაუღალავ მუშაკს ჩვენი საზოგადოების კეთილდღეობისათვის და ეს მწუხარება მით უფრო მწვავდება, რომ შენ შეგეძლო კიდევ დიდხანს გეჰგონია, უბრალო ჩონჩხი არ არის; პირიქით, იგი ნამდვილი სხეულია იდეისა; ამ მხრით არაკი პირველი რიგის ფორმას წარმოადგენს, ხოლო მისი ლიტერატურული ჩამოსხმა მეორე რიგის ფორმას. შემოქმედება ყველას უფრო ფაბულის მქნელობაში მჟღ ვნდება. ელლინთა ერი მით არის გენიოსი, რომ მისმა მძლავრმა და სხივ-მოსილმა ფანტაზიამ ქვეყნის მრავალი საიდუმლოება სხვადა სხვა ფაბულებში მითისა და ლეგენდის ფორმაში გაგვიშალა. მარტოდ მარტო აფროდიტას მითი რათ ღირს?! ვნებით ათამაშებული ზღვის ქაფი სადაფი ნელინელ აბურთდა ᲥᲐᲛᲘᲡᲮᲐ იგი ღმერთ ქალის ტყვემქნელა სხეულად; როგორი მშვენიერებით არის აქ გახსნილი სიცოცხლის ერთი მომხიბლავი საიდუმლოება: ზღვა-ეს მქშინავი არსი, ეს უცხრომი ვნება და უშრეტი სიცოცხლე; ქაფი-ეს წინასახე თეთრი მარმარილოს მთლიანი ქალწულობისა; და ეს ვნება და ქალწულობა ღმერთ ქალის მატყვევებელი სხეულში იკვეთა; განა, ამის უკეთესს კიდევ შეჰქმნის ადამიანის მუდამ მწყურვალე ფანტაზია?! დიახ, ფაბულა პირველი რიგის ფორმაა, იგი ნამდვილი სხეულია შვებად განმზადილი იდეისა.

მაშ, რაშია საქმე? ჩემის ფიქრით, საკითხი ფაბულის სრულს ჩამოსხმაშია, ამის ფაბულა, ჯერ კიდევ მასალა, რომელიც ხელოვანის უკანასკნელ ხელშეხებას უცდის; არის ფაბულაც, ყოვლად სრული, რომელიც ამგვარი ხელშეხებით მხოლოდ საკვრეტადაა განმზადილი, ფაბულა, რომელსაც გენიოსი იღებს, მხოლოდ მასალას წარმოადგენს; ამას ნათელჰყოფს შექსპირისა და გაიოცეს მაგალითი: „ჰამლეტი“, შექსპირამდე თხრობილი სხვაა, ვიდრე შექსპირით სრულყოფილი; „ფაუსტი“, გიოტემდე თხზული, სხვაა, ვიდრე გიოტეს მიერ გარდაქმნილი. გენიოსი იღებს (და კიდეც უნდა იღებდეს) ხალხთა მიერ საუკუნოებში ნაზრახს არაკს (მითს, ზღაპარს, ლეგენდას), მაგრამ იღებს არა როგორც მლექსავი მონა, არამედ როგორც თავისუფალი შემოქმედი: იგი ერთი მადლიანი ხეზმოსმით სრულიად გარდაქმნის აღებულს არაკსა. ავიღოთ მაგალითი! ბიბლიური თხრობით, ჰეროდეს ცოლის შთაგონებით მოითხოვს სალომე მოკვეთილს თავს იოქანანისას; ოსკარ უაილდის მზიური ფანტაზიით კი, თვითონ უარყოფილი სალომე მოითხოვს უარმყოფელის თავის მოკვეთას; ამით სრულიად იცვლება თვითონ აღმოსავლეთით აღებული არაკი: ამ შეცვლაში უაილდმა საოცარის ხელოვნებით ჰკვეთა სიყვარულის საიდუმლოება: დიადი სიყვარული ემპირიულ საზღვრებში სიკვდილით თავდებაო,—გვამცნო მან და მით საუკუნოდ განმტკიცა სიყვარულის ერთი ძლიერი მხილება. ავიღოთ კიდევ ჩვენი ვაჟას „გველის მჭამელი“! ხალხის თქმულებით მინდია მხოლოდ აქიმია, რომელმაც კარგად იცის სხვა და სხვა ყვავილთა მკურნები წვენი; ვაჟას ფანტაზიით კი, მინდია გულთმისანია და სულთამხილავი: მას ესმის ყოველი უსულოს ენა და უენოს სიტყვა; მგოსანი ხსნის ამით წარმოშობილს მინდიას სულიერ დრამას,—და მით ახლად ჰქმნის ხალხში ზრახულს არაკსა. ერთი სიტყვით, ხალხი ჰქმნის საუკუნოებით რომელიმე თქმულებას, რომ შემდგომ, ან ბოლოს, მისმა ნიჭიერმა შვილმა საუკუნოდ განამტკიცოს იგი. ამ „განმტკიცების შემდგომ იმა ფაბულას სხვა ვინმე ერთ სიტყვასაც ვერ მიუმატებს: იგი ამ მხრით სრულად კვეთილი ინდივიდუალობაა და მასში სხვა ხაზის გავლება მხოლოდ მისი დამახინჯება იქნება.

ასეთია ნამდვილი შემოქმედება—და ასეთია რუსთაველის ხელოვნებაც. შოთას სრულიად უნდა გარდაექმნა აღებული მოთხრობა, რადგან იგი ნამდვილი ცეცხლეული ხელოვანია. მისი ორიგინალობის უარმყოფელნი მხოლოდ მაშინ იქნებოდენ მართალნი, თუ დაამტკიცებდენ, რომ „ვეფხის-ტყაოსანის“ ამბავი რუსთაველის შემდგომაც არაკის მხრით ისევ ძველი დარჩა; მაგრამ ამას ვერაოდეს ვერ დაამტკიცებენ, რადგან ფორმა რუსთაველის ქმნილებისა არ არის უბრალო „გალექსვა“ უკვე ქმნილისა, არამედ შემოქმედი ენერგია გარდასაქმნელისა. „ვეფხის-ტყაოსანის“ არაკი, რუსთაველამდე თხრობილი, ეს მხოლოდ მკვდარი მარმარილოა, რომელიც მქანდაკებელს შემოქმედი ცეცხლ-კვეთით სხეულად უცხოველებია; ეძიონ ადგილი, საიდანაც მოტანილია იგი მარმარილო, მაგრამ ნუ დაივიწყებენ ამასთანავე, რომ იგი შემოქმედის ხელ-შეხებამდე მხოლოდ უბრალო ნივთიერებაა: იგი ღვთიური ხელ-შეხებაა, სულს რომ უდგამს მკვდარს ქვასა.

თქვენი გრიგოლ რობაქიძე.

P. S. შემდეგი ბარათი—არჩილ ჯორჯაძეს.

ბარათები

1.

ვანო გომართელს.

ძვირფასო ვანო! ბევრჯელ გამართულა ჩვენ შორის საუბარი ქართულ ლიტერატურის შესახებ; მრავალი აზრი სიამოვნებით მომისმენია თქვენგან; მეც ბევრი მითქვამს და იმედია კიდევ ბევრს გეტყვი; მაგრამ ნათქვამი სხვაა და დაწერილი სხვა: მართალია, პირველი უსაშვალოა და ცოცხალი, მაგრამ მას მეორის ხელსახები სხმულობა აკლია; და აი, დღეს მინდა წერილით გაგეხმაუროთ ჩვენი მნათობთა-მნათობის შესახებ.

მნათობთა მნათობი! თქვენ უთუოდ იგრძნეთ, ვინ არის იგი მნათობი: ეს ხომ ჩვენი შესაძლოების მატარებელი შოთა არის! მართალია, იგი სხვას ფრიად ანათებს, მაგრამ თვითონ საიდუმლოებით არის მოსილი. მახსოვს სიტყვა აკაკისა, რომლის სხივშეჩერებულ სახეს სევდის ღიმილი დაჭკრთის: „ვეფხის ტყაოსანის“ ორიგინალობა ჩემთვის უფრო ნათელია, ვიდრე თვითონ ქართველობა შოთასი: ესრე სულ სხვაა იგიო! და მართლაც: შოთა იმდენად ირჩევა ყოველის ქართველისაგან, რომ მის ქართველობაშიც იქვი გეპარება. რით აიხსნება ასეთი საიდუმლოება?

ჩემის ფიქრით, ყოველი ერი, თუ კი იგი კულტურის სუბიექტია, თავის შესაძლოების მატარებელსა ჰქმნის. აიღეთ პუშკინი. მთელი მისი ხელოვნება რუსის ბუნების მომრევია. თვალუწვდენი ველი და მასზე თავდაუჭერელი „ტროიკა“,—აი სურათი რუსის ბუნებისა; მასში ამოშლილია ყოველი ზომა და გამთავრებულია წრეგადასულობა; ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ რუსებს არ აქვთ პლასტიკა: მუსიკალი ტალღა მათში მხოლოდ „იქცევა“ და არ იშლება მშვენიერს მარმარილოს ნაკვთად. პუშკინი კი სხვაა: მასში ერთობილია შეუცნობელი სტიქიონი და შეცნობილი ფანტაზია; იგი ამ მხრივ შესაძლოებაა ყოველის რუსისა.

ასეთივეა რუსთაველიც: იგი მხოლოდ შესაძლო სინამდვილეა და არა ქმნილი სინამდვილე. ქართველს ერში ქალურს ელემენტს დიდი როლი აქვს მიკუთვნილი; ვაჟური ელემენტი მასში იშვიათია და მკრთალი; თამარი, ეს ლეგიური მეფე-ქალი,—აი იდუმალი სიმბოლო ქართველს მქნელობისა! თვით შემოქმედებაშიაც კი ქართველს ძვირად თუ გამოუჩენია ნამდვილი ვაჟობა. საყვარელი აკაკი ფრთოვანი მგოსანია და სალკლდეს იგი თავს დაფრინავს უფრო, ვიდრე არღვევს მისს მაგარს გულს; მართალია, ილია „განდეგილში“ ნამდვილად ვაჟობს, მაგრამ მისი ვაჟობა უმეტეს წილ უფრო რიტორიულია, ვიდრე მხატვრულ შეზავებული; ბარათაშვილის ვაჟობას ვერავინ უარჰყოფს, გარნა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ნების ფოლადს შავი მელანქოლია ამსხვრევს; ჩვენი ვაჟა-ფშაველაც ნამდვილი ვაჟია, მაგრამ ხელოვნებისათვის იმა სივაჟეს ქალური სინაზე და ნარნარი ხელშეხება აკლია; ერთი სიტყვით, ჩვენში ნამდვილი ვაჟი შემოქმედი მხოლოდ რუსთაველია. და მართლაც: ბევრი ქართველია ალ-ნაკადულით ავსილი, მაგრამ ალი მას სწვავს და ნაკადული მას ახრჩობს. რუსთაველი კი ხელოვანია თვით აფრთოვანებისა; იგი იწვის იმა ალით, მაგრამ იმავე დროს იგი ალის მომრევია: იგი შემოქმედ ხელში იჭერს მას და მისი მწვავე ენით სწვავს უბრალო ხეში საიდუმლო სახეთა; იგი მთვრალია მუსიკალი ნაკადულით, მაგრამ ნაკადული არ ახრჩობს მას: პირიქით, იგი მას ანელებს ელლინურად და სჭრის პლასტიურ ნაკვეთებად; რუსთაველი ამ მხრით ნამდვილი მქანდაკებელია ენისა და სიტყვისა: მხატვრული სახენი მის ხელოვნებაში პლასტიურ იშლებიან; ერთი სიტყვით, რუსთაველი თავისს ელლინურ ზომით მხოლოდ სასურველი შესაძლოებაა, ქართველთა ბუნებაში იდუმალი სხეულებით ნათელყოფილი.

ამ მხრით რუსთაველის ორგინალობის საკითხიც საკმაოდ ნათლდება. ამბობენ: რუსთაველი გენიოსია მხოლოდ თავისი შემოქმედებითი ფორმითო. ეს „მხოლოდ“ ყოველთვის მაჯავრებდა და ახლაც მაჯავრებს. მივიღოთ პროფ. მარრის აზრი: ყოფილა სპარსული საგმირო მოთხრობა, დროთა ტრიალში დაკარგული; ყოფილა აგრედვე მისი ქართული თარგმანი; რუსთაველს უნახავს უკანასკნელი და გარდაუქმნია იგი „ვეფხის ტყაოსნად“. მივიღოთ ყველა ეს და ვიკითხოთ. სწყდება თუ არა ამით რუსთაველის ორიგინალობის საკითხი? მე მგონია, არა,—და აი, რათა:

პირველ ყოვლისა, უნდა ავნიშნო, რომ არაკი, როგორც ეს ბევრსა ჰგონია, უბრალო ჩონჩხი არ არის; პირიქით, იგი ნამდვილი სხეულია იდეისა; ამ მხრით არაკი პირველი რიგის ფორმას წარმოადგენს, ხოლო მისი ლიტერატურული ჩამოსხმა მეორე რიგის ფორმას. შემოქმედება ყველას უფრო ფაბულის მქნელობაში მჟღ ვნდება. ელლინთა ერი მით არის გენიოსი, რომ მისმა მძლავრმა და სხივ-მოსილმა ფანტაზიამ ქვეყნის მრავალი საიდუმლოება სხვადა სხვა ფაბულებში მითისა და ლეგენდის ფორმაში გაგვიშალა. მარტოდ მარტო აფროდიტას მითი რათ ღირს?! ვნებით ათამაშებული ზღვის ქაფი სადაფი ნელინელ აბურთდა ᲥᲐᲛᲘᲡᲮᲐ იგი ღმერთ ქალის ტყვემქნელა სხეულად; როგორი მშვენიერებით არის აქ გახსნილი სიცოცხლის ერთი მომხიბლავი საიდუმლოება: ზღვა-ეს მქშინავი არსი, ეს უცხრომი ვნება და უშრეტი სიცოცხლე; ქაფი-ეს წინასახე თეთრი მარმარილოს მთლიანი ქალწულობისა; და ეს ვნება და ქალწულობა ღმერთ ქალის მატყვევებელი სხეულში იკვეთა; განა, ამის უკეთესს კიდევ შეჰქმნის ადამიანის მუდამ მწყურვალე ფანტაზია?! დიახ, ფაბულა პირველი რიგის ფორმაა, იგი ნამდვილი სხეულია შვებად განმზადილი იდეისა.

მაშ, რაშია საქმე? ჩემის ფიქრით, საკითხი ფაბულის სრულს ჩამოსხმაშია, ამის ფაბულა, ჯერ კიდევ მასალა, რომელიც ხელოვანის უკანასკნელ ხელშეხებას უცდის; არის ფაბულაც, ყოვლად სრული, რომელიც ამგვარი ხელშეხებით მხოლოდ საკვრეტადაა განმზადილი, ფაბულა, რომელსაც გენიოსი იღებს, ხელოვანი ზრახულ ენერგიით ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ.

უსინდისოო! ეს მხოლოდ უგუნურებას და შეუგნებელთ შეეძლო წამოეძახნა შენდა მიმართ, შეუგნებლობას რომელი, ასე გვაბრძავებს რომ ვერ ვარჩევთ ჩვენს მოკეთეს და მსხვერპლათ იწირავს, ჩვენი ხელით მხეცურათ სიცოცხლეს გვასალმებინებს სწორედ იმათ, ვინც რწფელის გულით გვემსახურება და ჩვენი კეთილდღეობისათვის გულმხურვალე მოამაგე და მზრუნველია.

ვიყვეთ ფხიზლად, ნუ ვიდებთ ამ გვარ ცოდვებს ჩვენს თავზედ, ვისწავლოთ ცნობა და პატივისცემა მათი, ვინც ჩვენ სასიკეთოდ გვემსახურება, გადავეჩვიოთ მათ ტანჯვას და წამებას, როგორც იწამა ეს ჩვენთვის მოამაგე ადამიანი.

მშვიდობის სიტყვა უნდა გითხრა ძმაო, მშვიდობიანათ განისვენე შენს უდროო და ნაძალადევ სამარეში—ჩვენთვის კი სიკვდილმა დაუვიწყარი გულის ამღვრელ, სულის ამშფოთველ ᲥᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ აღმსვლად გვექნეს მუდამ შენი სახელი ჩვენო საყვარელო, ჩვენო ძვირფასო წამებულო ძმაო“!

მთავარ-ანგელოზის ეკლესიიდან მიცვალებული წაასვენეს საფიჩხიის სასაფლაოზე, საცა შარშან გარდაცვლილი განსვენებულის ქალიშვილის გვერდით დაამარხა.

პროცესიაში ქუთაისის სამღვდელოების გარდა მონაწილეობას იღებდა: ქალაქის სასწავლებელთა მოსწავლენი, მათი მასწავლებელნი, ქალაქის თავი, მისი მოადგილე, ქალაქის მოსამსახურენი და მოქალაქენი, რომელთა შორის ინტელიგენცია სჭარბობდა. მთავრობის მოხელეთაგან გარდა ვიცე-გუბერნატორის განსვემებულის დასაფლავებას ცოტა ვინმე დაესწრო.

განსვენებულის კუბოს ამკობდა ოც-და-ხუთზე მეტი გვირგვინი: ქალაქის თვით-მმართველობის მოსამსახურეთაგან, შავი-ქვის მრეწველთა საბჭოსაგან, სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისაგან, საადგილ-მამულო ბანკისაგან, გიორგი ზდანოვიჩისაგან, თანამოაზრე—მეგობართაგან, მეგობართა და ამხანაგთაგან და სხვა.

ქუთაისის ავ-კარგი.

ქალაქის თვითმართველობას განზრახა აქვს კოტე ბაქრაძის დასაფლავება თვითონ იკისროს. ამისათვის 17 ამ თვისათვის ქალაქის თავმა ჩიქოვანმა, რომელიც საგანგებოდ ჩამოვიდა ქუთაისში აგარაკიდან, ქალაქის საბჭოს კრება მოიწვია.

კოტე ბაქრაძის დასაფლავებაში ყველა კულტურული დაწესებულება იღებდა მონაწილეობას.

* * *

იმ დროს, როცა განსვენებული კოტე ბაქრაძე აუტანელად იტანჯებოდა და მის ტანჯვა, მეგობართა და მახლობელთ შორის აუწერელ მწუხარებას იწვევდა, მაშინ „ზაკავკაზიე“-ში დაიბეჭდა უშვერი ხასიათისა და ყოველ სიმართლეს მოკლებული კორესპონდენტი. კოტე ბაქრაძის ინციდენტის გამო.

კორესპონდენტს [illegible] ინანა, თუ დაუჯეროს კაცმა — მებურიშვილი რამდენჯერმე მივიდა ქალაქის გამგეობაში საჭირო ქაღალდების მისაღებად; ვითომც უკანასკნელად მებურიშვილმა დაჟინებით მოსთხოვა კოტე ბაქრაძეს ხსენებული ქაღალდი და როცა არც ამას მიაქცია ყურადღება განსვენებულმა და მებურიშვილმა კილოს აუმაღლა, მაშინ ვითომ ბაქრაძემ მას უთხრა: „აქედან გაეთრიეო“.

ამით გაკვირვებულმა მებურიშვილმა კვლავ მოინდომა საქმის გარემოება, პასუხის მაგივრათ, ვითომ კ. ბაქრაძემ კვლავ ლანძღვა თრევით მოსთხოვა მოშორება და ამის შემდეგ მებურიშვილმა მას საწერელი ესროლა.

ნამდვილად კი საქმის გარემოება ასეთი იყო. მებურიშვილი დიდი ხანია თურმე ცდილობს. სხვებთან ერთად გზის გაყვანის უფლება მოიპოვოს რკინის გზის ადგილში. ამ აზრს თანაუგრძნობდა კოტეც და რაც კი გაეწყობოდა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ეს საქმე სასურველად გათავებულიყო. სამწუხაროდ რკინის გზის გამგეობამ არ შეიწყნარა მემამულეთა შუამდგომლობა და გზა მათ თავის მამულში არ მისცა.

მიუხედავად ამისა მებურიშვილი არა სცხრებოდა და ხშირად დაიარებოდა ქალაქის გამგეობაში. სანუგეშო პასუხის მიღება მას არ შეეძლო, მაგრამ თავისას არ იშლიდა. ინციდენტის დღეს მებურიშვილი კვლავ მისულჟქ. გამგეობაში და განსვენებული ბაქრაძისათვის უთხოვნია შუამდგომლობის განახლება. მას ეს შეუძლებლად დაუნახავს და ამ ნიადაგზე აღძრულ ლაპარაკის დროს მებურიშვილის კ. ბაქრაძისათვის „უსინდისო“ უწოდებია; ამას იგი მოთმინებიდან გამოუყვანია მელნის საშრობი გადაუგდია. პასუხათ მებურიშვილს ჯერ სამელნე უსროლია და როცა ეს ვერ მოხვედრია ბაქრაძეს, მაშინ მარკების დასაკრობი შტემპელი აუღია ხელში და დაკვრა მოუნდომებია და კიდევაც მოუსწვრია ეს, მაგრამ იქავე მდგომ მოხელეს ხელი შეუშველებია და ჭრილობა გარეგნულათ მაინც, მძიმე არ აღმოჩნდა.

საქმის ნამდვილი გარემოება ასეთია და „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტს რომ დაუჯეროს კაცმა, კ. ბაქრაძის უზდელი მოქმედება ცხვარსაც კი გააბრაზებდა, არა თუ ისეთ კაცს როგორიც მებურიშვილია, თურმე.

ფაქტების გადამახინჯება „ზაკავკაზიეს“ კორესპონდენტის მხრივ, აქ დიდს აღშფოთებას იწვევს. კორესპონდენტს, თუ წინ განზრახული აზრი არ ამოქმედებდა, ადვილად შეეძლო გაეგო საქმის ვითარება და

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ

ᲛᲔᲠᲕᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ

გაზეთისთვის ნამდვილი ვითარება საქმისა მიეწოდებინა.

გავიგე თუ არა კოტეს შეურაცხყოფის ამბავი, მის სანახავად წავედი. იგი დამხვდა თავ-შეხვეული ქალაქის მდივნის ოთახში—ქაღალდს კითხულობდა. რომ შეეკითხე—ღიმილით მიპასუხა: „მგონი საშიშო არაფერია, თუმცა თავი დამიმძიმდაო“.

როცა დაწვრილებით მიამბო საქმის გარემოება ასე დაამთავრა: „მართალი რომ თქვას კაცმა, დამნაშავე მე ვარ—მებურიშვილის ლანძღვისათვის ყურადღება არ უნდა მიმექცია, მაგრამ ხომ იცი ჩვენი მდგომარეობა დღე ერთი და ჩვენი ლანძღვა და შეურაცხყოფა ათასი. ველარ შევიკავე თავი და აი ხომ ხედავ! ასე დაამთავრა განსვენებულმა მოთხრობა და ზედ ისიც დაურთო: თუ მოვახერხე, მებურიშვილს სამართალში არ მივაცემინებო.

17 აგვისტოს, გასჯრეს განსვენებული კოტე ბაქრაძის გვამი შვიდი ექიმის თანადასწრებით. შვიდი ექიმიდან ექვსი იმ აზრისაა, რომ ტვინში სისხლი ჩაექცა და ეს არის სიკვდილის პირდაპირი მიზეზი, ხოლო დასაბამი ამისი მებურიშვილის მიერ მიყენებული ჭრილობაა. წინაღმდეგი აზრი გამოსთქვა ექიმმა ხუნდაძემ, რომელიც ჭრილობასა და სიკვდილს შორის არავითარ დამოკიდებულებას არა ჰხედავს თურმეს გარემოება საზოგადოებაში დიდ მითქმა მოთქმას იწვევს.

განსვენებულ კოტე ბაქრაძის დასაფლება საკვირაოდ არის დანიშნული ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებულ და საბჭოს მიერ დამტკიცებულ ცერემონიალით.

ამ ცერემონიალით დასაფლავებას დაეწყრება ქალაქის მამასახლისი ამქრებიანად, ქალაქის სასწავლებლების მასწავლებლები და მოსწავლეები, ქალაქის თვითმმართველობა, მოსამსახურენი და სხვანი.

გვირგვინის მაგივრად ქალაქის გამგეობა წერა-კითხვის საზოგადოებას გაუგზავნა 100 მანეთი. განსვენებული კოტე ბაქრაძის სახსოვრად ყოველ წელიწადს ქალაქის სასწავლებლების უღარიბეს მოსწავლეთ დაურიგდებათ 150 მანეთის სახელმძღვანელო წიგნები.

ქალაქის გამგეობის ამ წინადადების შემდეგ, ქალაქის საბჭომ მიიღო ბ-ნი გიორგი ზდანოვიჩის წინადადება, რომ გმნსვენებულის კოტე ბაქრაძის დასაფლება თვით ქალაქმა იკისროს.

16 და 17 აგვისტოს განსვენებულის ჭირისუფალთა და ქალაქის გამგეობის მოწოდებით პანაშვიდები იქმნა გადახდილი; ხალხი დიდ ძალი ესწრება პანაშვიდებს.

ნაფიქრები და განცდილი მოგზაურობის დროს.

ჩემო მეგობარო!

უკაცრაოდ კი ნუ გახლდეთ და შენ მეგობრობისა იმდენი გესმის რამე, რამდენიც ჩინურისა.. თუმც დარწმუნებული ვარ დღევანდელი დილლეტანტური მეცნიერება იმდენად ხელმისაწდომი ხდება (ყველასათვის, რომ ჩინური ანბანიც გეცოდინება და ჩინურ ფილოსოფიის შესახებაც შესძლებ ერთ ორ საათს ლაპარაკს.

ეს ხომ ასეა და ასე რომა ვსთქვათ მეგობრობის შესახებ მგონი ისეთი „რეჩი“ გამოაცხო, რომ ციცერონიც ვერ შეგედაროს. მაგრამ ქართველი კაცი ხარ, ძმაო, და მეგობრობისა იმდენი გაგეგება, რამდენიც ყოველივე დიდი გრძნობისა და აზრისა:—სიყვარულისა, თავისუფლებისა, თავგანწირვისა და სხვა... ეჰ, ეს სიტყვები მარტო ენის მოსაქავებლად კი არ გამოუგონია კაცს, საუკუნოების ბრძოლისა და კულტურის ნაყოფია. ხოლო ქართველების კულტურა შეიძლება ისტორიაში არსებობდა, დღეს კი იგი ისე წარხოცილია და აღგვილი პირისაგან ქვეყნისა, როგორც ძველ ჰელლინთა კულტურა.

ჰო, მაგრამ სად წავედი? გესმის რამე თუ არა მეგობრობისა და ხარ ღირსი თუ არა ამ სახელისა დღევანდელ ძალთა განწყობილების დროს? დღევანდელ პირობებში შენ ჩემი „მეგობარი“ ხარ და ამისათვის მსურს გაგიზიარო თუ რა განვიცადე ჭ რა ფიქრები ტრიალებდა ჩემს თავში ამ მოგზაურობის დროს.

სახუმარო საქმე კი ნუ გგონია, თითქმის მეხუთედი საუკუნეა ჩემი „საყვარელი და ძვირფასი“ სამშობლო არ მიმიტოვებია და ეს 15—16 წელიწადია ტფილისს აღმოსავლეთით არ გავცილებივარ და ბათუმს—დასავლეთით.

ამ 15—16 წელიწადში რა არ მოხდა, ღმერთო ჩემო! მართალია გიჟურ და თავბრუდამხვევ ოცნებებით ვიყავით აღვსილი სტუდენტობის დროს, მაგრამ ყველა ეს ოცნება განურკვეველი იყო. ხოლო მგონი ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ წარმოიდგენდა, თუ ამდენი დიდ-მნიშვნელოვანი საოცარი მოვლენა ჩვენს სიცოცხლეში მოხდებოდა და ჩვენ შეეიქმნებოდით მისი მოწამე.

ჯერ რამდენი ჩვენგანი სიცოცხლეს სიამოვნებით შესწირავდა (რასაკვირველია იმ დროს, ჩვენის სიყმაწვილის ხანაში, როცა სიცოცხლეს მართლა ფასი აქვს, თორემ ეხლა, როდესაც ჩვენი სიცოცხლე სიკვდილსაც კი აღარაფრად ენატრება, ჩვენ, რასაკვირველია, უფრო გამოზოგებით და საფრთხილით ვეკიდებით დამპალ საქონელს), ჰო შესწირავდა მეთქი თავისს სიყმაწვილით მშვენიერებით შემკულ სიცოცხლეს, ოღონდ კი დარწმუნებულიყო, რომ შეესწრებოდა იმ შესანიშნავ ისტორიულ შურისძიებასა და სასჯელს, რომელიც ჩვენის თვალით ბოლო დროს ვიხილეთ.

მერე კატასტროფა ჩვენის ცხოვრებისა? რაც არ უნდა ვსთქვათ, რა ვანწყობილებისა და აზრისაც უნდა ვიყვნეთ ამ ისტორიულს კატასტროფის შესახებ, იმას ვერავინ უარჰყოფს, რომ ჩვენს ცხოვრებაში ვეებერთელა, საშინელი და დიდი რამ მოხდა, რომლის შემდეგ ძველი ცხოვრება ძირიანადა და ფესვიანად მოისპო და გარდიქმნა. ყოველიფერი შეიძლება მოიფიქროს კაცმა, მაგრამ „ძველის“ მობრუნება აღარ შეიძლება... წავიდა ის დრო, როცა დანუმრული, თარიღ დასმული ქაღალდი კმაროდა ცხოვრების ჩარხის დასატრიალებლად... ეხლა აღარავის არ აშინებს და ძალს არ უფრთხობს უძლურების გამომხატველი სხვა და სხვა არაჩვეულებრივი „წესი“ და „ზომა“...

მაგრამ ეჰ, ერთი რას მიეედ-მოვედები. თითქო ქართველ კაცს, თუ გინდ „მეგობარი“ იყოს იგი ეგრე რიგად ეხალისებოდეს... წერილების წერას ვინღა მოგახსენებს—წერილების წაკითხვაც კი... კარგა ხანია მეთქი არ გავშორებივარ „ჩვენს საქართველოს“ (მრავალ ჟამიერის“ დროს), მაგრამ, ის, რასაკვირველია, მხედველობაში არ მიმიღია, რომ ერთხელ ამ ხუთიოდე წლის წინად „პეტრეს ქალაქში“ გახლდით, მაგრამ ეს ხომ ანგარიშში ჩასაგდები არ არის. ჩემს სიცოცხლეში პეტერბურგისა და მოსკოვის ნახვა არ მომინდომებია.,. არა თუ არ მომინდომებია ყოველთვის სრული წინაღმდეგი ვიყავი... ჩემი წინათგრძნობა გამიმართლდა კიდევაც, როცა პეტერბრბრგი ვნახე. მართალია პეტერბურგი დიდი ქალაქია, გარედან ევროპიული სახეცა აქვს და ელფერიცა, მაგრამ სულ სხვა გვარისა და ჯურის არის, ვიდრე რომელიმე ევროპიული ქალაქი.

შესადარებლად ავიღოთ მაგ. ჩვენი დედა-ქალაქი (ჩვენია თუ არა, რა მოგახსენოთ, მაგრამ რაკი არა გვეხარჯება რა, რატომ „ჩვენი“ არ დაუძახოთ) თქვენ შეგიძლიათ სთქვათ რომ პეტერბურგი ათი ტფილისის ოდენაა; ათჯერ ტფილისზედ უკეთესია და თუ გინდ ცხრა ნახევარჯერ, მაგრამ თავის დღეში არ შეიძლება ითქვას, რომ მაგ. პარიზი ორჯერ, ან ასჯერ უკეთესია პეტერბურგზედ, გინდ ასჯერ სჯობია ტფილისსა, ეს ორი ქალაქი (პარიზ. და პეტერბ.) შეუდარებელია ისე, როგორც ცხოველი არსება და უსულო ქვა, შეუდარებელია ისე, როგორც სიკვდილი და სიცოცხლე, შეუდარებელია ისე, როგორც ხორცით და სულით მშვენიერი არსება და შეთხუპნული სალახანა ქმნილება, დავიწყოთ თუ გინდ გარეგანის შეხედულობიდან: პეტერბურგში დიდი ქუჩებია, ელექტრონით განათებული, სუფთაც თუ გნებავთ, არის მრავალი მშვენიერი სავაჭრო სახლი. მაგრამ ყველა ეს არის იმავე ჯურის, როგორიც გვინახავს მაგ. ტფილისში, ცოტად თუ ბევრად უკეთესი. პარიზის ქუჩებში რომ გაივლით სულ სხვას ნახავთ. პარიზის მაღაზიები—იქ გამოფენილი სავაჭრო ნამდვილი შედევრია ხელოვნებისა—ნამდვილი მსოფლიო გამოფენა უდიდესის კულტურის ნაწარმოებისა. პარიზის ბულვარებზე (თავისებურ პროსპექტებზე) შეგიძლიათ ესტეტიური განვითარება მიიღოთ. არაფერი მსგავსი პეტერბურგში არა მინახავს-რა. ერთიც არ მინახავს აქ ისეთი სავაჭრო სახლი, რომ არა თუ შესანიშნავი ხელოვნური ნაწარმოები იყოს, ან ხელოვნურად იყოს რამე დაწყობილი. გარდა ამისა ყოველივე ამას აძლევს იერსა და სიცოცხლეს თვით ხალხი. ხალხი სცხოვრობს, ასე თუ ისე კმაყოფილია, მხიარული; ნიადაგ ყეფინა, სიცილი, ლაპარაკი, დაობა და კისკისი. ქუჩებზე სიცოცხლე სდუღს და გადმოდის. პეტერბურგში კი ყველას სახეზე, რაღაც გულ-გრილობის, აპატიის დაღი ასვია, რაღაც გამოურკვეველობის ფერი ადევს, სერი, ნესტიანი და ბურუსიანი.—არა თუ დაღვრემილების ბეჭედი ესვას მათ სახეს, არა, მაშინ ხომ შეგვეძლო გეეთქვა ხალხი მგლოვიარეა, სევდით არის მოცული და სხვ...

მაგრამ თავი დავანებოთ პეტრეს ქალაქს და ჩემს მოგზაურობას შეუდგეთ.

ეს მეორე მოგზაურობაა ჩემი ევროპაში. პირველად 18—19 წლის ახალგაზდა ვიყავი, ახალ კურს-დამთავრებული გიმნაზიაში. ჩემი მომავალი ათასნაირი იმედებით აღსავსე იყო. იმ დროს პარიზში ყოფნამ, პარიზის ცხოვრების და კულტურის დაახლოებამ ჩემი ყმაწვილური გონება მოწამლა, მოშხამა, ბოლოს, როდის იქმნება ჩემი სამშობლო არა თუ ასეთ გზას დაადგეს, რაც საოცნებოდ მიმაჩნდა, არამედ როდის იქმნება, რომ ჩემი სამშობლო ისეთ პირობებში ჩადგეს, რომ საიმედო შეიქმნეს ოდესმე ისიც ადამიანურად იცხოვრებს-თქო. ეს ფიქრები ტვინს მიწვავდნენ. პარიზის ცხოვრებამ და ჩვენი უნუგეშო, ბნელითა, ჯანყითა და ბურუსით მოცული ცხოვრება?—ეს შედარება სრულიად მისპობდა ყოველივე იმედს, საშინელს სასოწარკვეთილებაში მაგდებდა და მოგახსენე სიცოცხლეს მიმწარებდა ამ მხრით მთელს ჩემს ცხოვრება დაასვა წარუხოცელი დაღი ერთმა წელმა პარიზში გატარებულმა. ეგ ეგრე იყო, მაგრამ ძალა-უნებურად ახალგაზდა სიცოცხლით სავსე, მაინც ძალ-ღონესა ვგრძნობდი ათასნაირი სანუგეშო მევლინებოდა, ათასნაირ საშუალებას ჰქმნიდა თვით ჩემი ორგანიზმი „პირსა შიგან გავმაგრებულიყავი“. პირველი ჩემი მგზავრობა ჩემის ცხოვრების მზის ამოსვლის დროს იყო.

ეხლანდელი კი ჩემის ცხოვრების დაისის დრო არის. ეს მზე უკვე ჩასვენებულია. იმიტომ, ჩემო კარგო, რომ მე და შენს ხანში ქართველი კაცი წელში გატეხილია და უდროოდ დამჭკნარი და დაბერებული. მივდივარ, რისთვის? მოვიკრიბო უკანასკნელი ძალ-ღონე, ვეზიარო ერთხელ კიდევ (უთოოდ უკანასკნელად) სიცოცხლის ძალის მომცემს უკვდავების წყაროს კულტურისა და მშვენიერებისას? კი, მაგრამ იქნებ ეს ძალაც, ძალა კულტურისა ჭ მშვენიერების შეთვისებისა, კულტურითა და მშვენიერებით დატკბობისა მოსპობილია ჩემში და მე დავბრუნდები მკვდარი, უიმედოდ დაშთენილი სნეული, რომელსაც ველარავითარი წამალი ვერ არგებს, იმიტომ, რომ სიცოცხლის ძარღვი აღარ უცემს, იგი მოდუნებულია, სისხლ გამშრალი.

ასეა თუ ისე, ეს იცოდე, რომ ტურისტობა არასდროს არ მიყვარდა და არც ეხლა ვიკისრებ ამ როლს. ჩემს მოგზაურობას განსაზღვრული გეგმა აქვს მივდივარ სწორედ იმ მიზნით, როგორც ჭლექით ავადმყოფს აგზავნიან ფიჭვნარ ტყეში, რათა ისუნთქოს და დაზიანებული ფილტვები არ განიკურნოს თუ არ განიკურნოს, დროებით მაინც გაიმაგროს ავათმყოფობასთან საბრძოლველად.

რაკი ამგვარი თითქმის რელიგიოზური დანიშნულება აქვს ჩემს მგზაურობას მე დავიწყე მგზავრობა **საბერძნეთით**, ეს ქვეყანა იქმნება სამარადისო, საუკუნო წყარო ჩვენის კულტურისა და ჩვენის მშვენიერების წყურვილის დამაკმაყოფილებელი. და აი ვით მორწმუნე მაჰმადიანი მექას მიემგზავრება, კათოლიკე რომს და ორდოტოქსი ბერძენი იერუსალიმს, ისე მე საბერძნეთით დავიწყე. აქაც სრულიად განსაზღვრული გეგმა მქონდა: მენახა აკროპოლისი—ეს უდიდებულესი ნაშთი ათონის გენიოსობისა ათონის მუზეუმი და ოლიმპიას მუზეუმი, სადაც არის პრაქსიტელის უკვდავი ჰერმესი.

ვინაიდან ათინაში ზღვით მგზავრობა არის უფრო მოსახერხებელი მეც გემით წავედ და პირველი საინტერესო, რის შესახებაც განვიკადერამ, ან რამაც აღმიძრა რამე ფიქრი ეს გახლდათის, რომელსაც ჩვენ სტამბულს ვეძახით. იქიდან დავიწყოთ. თუ ძმა ხარ, არ შეგეშინდეს, არ იფიქრო ან ისტორია მოგიყვე ან გეოგრაფია. გარწმუნებ მარტო „განცდილსა“ (არ ვიცი რამდენად მოსახერხებელია ეს სიტყვა) და „ნაფიქრებს გაგიზიარებ. გზა და გზა თუ რამე წამომცდა მაგგვარი შეგიძლია გამოსტოვო და არ დაიღალო შენი მშვენიერი თვალები ჭ ბრწყინვალე გონება ამისთანა აბდა უბდას კითხვით... არ გეწყინოს ხუმრობა... ნახევარი და მართალი კი იქნება, იმდენსა ვბოდავ, რომ ძალაუნებურად ზოგიერთს გვერდი უნდა აუხვიო.

მაშ დავიწყოთ.

(შემდეგი იქნები

კიტა აბაშიძე.

დამსხვრეული მატარებელი

(წერილი გორიდან)

გორის რკინის გზის სადგურიდან ერთი ვერსის სიშორეზედ შავად ამართულია სახალხო მატ რებლის საზარელი დაღუპვის ნაშთი: დამტვრეულ-დამსხვრეული ორთქლ-მავალი, მაზედ შემდგარი მთლად დამწვარი საბარგო ვაგონის რკინის ნაწილები და ნახევრად დამტვრეულ-გადამწვარი III კლასის ვაგონი. იგი რკინის გზით გამვლელ-გამომვლელთა ყურადღებას იპყრობს, მით უფრო რომ ამ ადგილას, როდესაც მატარებელი მიდის, სიარულს უკლებს ხოლმე, რადგანაც ეშინიან, რომ სიმაღლეზე ამართული დაღუპვის ნაშთი არ გადმოწვეს რკინის გზის ლიანდაგზე ნიადაგის შერყევით მატარებლის გავლის დროს, და კვლავ უბედურება არ დატრიალდესო.

დამსხვრეული ორთქლ-მავალიდან ამოიღეს მთლად ნახშირად ქცეული გვამები მემანქანე დუბინინისა და მისი თანაშემწე კონდრატენკოსი და კუბოებში ჩაასვენეს. ცალკე იქვე ეყარა აგრედვე დანახშირებული ტვინი და შიგნეულობა მემანქანისა. როგორც ემჩნევა მატარებლის მამოძრავებელ ხელს (რეგულიატორს) რომელიც დაკეტილია, მემანქანეს მოუსწრია შეეჩერებინა მატარებელი რეგულიატორის დაკეტვით, მაგრამ ორთქლ-მავალისთვის კი გვიანღა იყო ეს ზომა. როგორც დანამდვილებით ამბობენ, მემანქანე დუბინინს თანა ჰყოლია ორთქლ-მავალზე თავისი ვაჟიშვილი, გიმნაზიელი, მაგრამ იმისი გვამი არსადა სჩანს, თუმცა ჯერ არც ცოცხალი სჩანს სადმე. მატარებლის დაღუპვის ადგილას ეხლა პოულობენ სტუდენტურ პალტოს ღილებსა და ვერცხლსა და შავს ფულებს. დაღუპვის ადგილი და დამსხვრეული მატარებლის სურათები რამდენჯერმე გადაიღეს ფოტოგრაფიულად.

ნამორი.

წერილი თელავიდან

ჩვენი სახელოვანი მეცნიერის და პატიოსანი ქართველის ალ. ს. ხახანაშვილის უდროოდ გარდაცვალების გამო წ. კ. საზ. თელავის განყ. გამგეობის თაოსნობით მახლობელ კვირას საკრებულო ტაძარში გარდახდილ იქნა პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ივ. შიუკაშვილმა და ნაფ. ვექილმა გ. პ. გორდეზიანმა რომლის შინაარსმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა. საზოგადოება საკმაო დაესწრო.

წ. კ. თელ. განყოფილებაში ახალ არჩევნების შემდეგ, გამგეობის თავმჯდომარედ ისევ თავ. მ. ზ. ჭავჭავაძე დარჩა, ხოლო ამის ამხანაგად აირჩიეს ალ. რევ. ვახვახიშვილი, მდივნად ი. პ. გორდეზიანი, ხაზინადრად ისევ ივ. დ. პაატაშვილი. ამას გარდა ამოირჩიეს კიდევაც მაღაზიის და სკოლის კომისია. წ. კ. სკოლაში განძრახულია წელს მეორე განყოფილების გახსნა, მსურველები უკვე ეწერებიან.

გამგეობის უმთავრესი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიქცეული იქნება ილიას მამულზე სოფ. ყვარელში, რომლის აწინდელ აოხრებულ მდგომარეობაში დატოვება ყოვლად შეუძლებელია. გამგეობის მთელი შემადგენლობა აპირებს ადგილობრივ წასვლას და ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხის ისე გადაწყვეტას, თვით მამულის მეთვალყურეობას კი მიანდობენ გამგ. წევრს ყვარელში მცხოვრებ თავ. იური მ—ძე ჭავჭავაძეს.

ჩვენ პროვინციელ საზოგადო მოღვაწეთა მცირე გუნდს, ტფილისში გადაყვანის გამო, მოაკლდა ერთი თვალ საჩინო მოღვაწე-ვასილ ბესარიონის ძე კახიძე. 10 წელზე მეტია იგი თელავში სცხოვრობს და არა მგონია ამ ხანში ისეთი საზოგადო საქმე დაწყობილიყოს, რომ ბ-ნ კახიძეს და მის მეუღლე ანასტასია რაფიელის ასულს მხურვალე მონაწილეობა არ მიელოთ. ამისთვის მისი გადაყვანა დანაკლისად უნდა ჩაითვალოს.

დავიწყებული.

მოზერილი ამბები

ალაგირი (ჩრდილო კავკასია). როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ალაგირში არსებობს ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი ქართველთათვის, რომელიც მოთავსებულია საზოგადოების ძიერ აშენებულ შენობაში. ეს სასწავლებელი ექვემდებარება კავკასიის ეპარხიალურ საბჭოს. ამავე საბჭოს წინადადებით მომავალ სამოსწავლო წლიდან ეს სკოლა გადაკეთდება ორ-კლასიანად. წესისამებრ ამ სასწავლებელში დასჭირდებათ მესამე მასწავლებელი. ხალხი გახარებული იყო ამ ამბით, მაგრამ სამწუხაროდ სკოლის გამგემ მღვდელმა მამა ანდრიევსკიმ ყრილობას განუცხადა, რადგანაც რუსს უკეთესად შეუძლიან ასწავლოს რუსული ენა სკოლაში უფროს მასწავლებლად ქართველებს დაენიშნებათ რუსიო. დამსწრე საზოგადოებამ დაბეჯითებით მოითხოვა დაენიშნათ უსათუოდ ქართველი მასწავლებელი, წინაღმდეგ შემთხვევაში უარი განაცხადოს ორ-კლასიან სასწავლებელზე. მამა ანდრიევსკიმ დაამშვიდა ყრილობა და გამოუცხადა, რომ მასწავლებელზე ლაპარაკი ჯერ-ჯერობით ადრეაო.

სამოსწავლო წლის დასაწყისი უკვე კარზეა მომდგარი, საეპარქიო საბჭოში კი არც ერთ ქართველ მასწავლებელს არ შეუტანია თხოვნა. ეს იმისათვის მოხდა, რომ ჩრდილო კავკასიაში არ არიან ქართველი თავისუფალი მასწავლებლები.

ქართველ მასწავლებლის დანიშვნა მით უფრო სასურველია, რომ ალაგირელ ქართველებს აქვთ სცენა, სადაც მასწავლებლებს შეუძლიანთ ხელმძღვანელობა გაუწიონ სცენის მაყვარეთ, აგრედვე საჭიროა უჩვენონ ბუნდოვანი სურათები და გამართონ სალიტერატურო, საისტორიო კითხვები და სხვა.

საჭიროა ამას ყურადღება მიაქციონ საქართველოში მყოფმა ქართველმა მასწავლებლებმა და თხოვნები საჩქაროდ გაუგზავნონ კავკავის საეპარქიო საბჭოს.

კავთისხეველი.

დ. ლანჩხუთი. როგორც იყო ვეღირსეთ სამკითხველოს, თუ რამდენად სასარგებლოა დღევანდელ მომენტში სამკითხველო, თეატრი, კოოპერატიული დუქანი და სხვანი, ამაზე მეტია ლაპარაკი. თითქმის 4-5 წელმა განვლო, რომ სამკითხველოს ხსენება არა ყოფილა ლანჩხუთში. ერთი წელიწადი იქნება, რაც აქ მუდმივი თიატრი არსებობს. თეატრი მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში და ამ ერთი წლის განმავლობაში კარგი სარგებლობა მოუტანია. 250 მანეთით სამკითხველოსაც შესწევია. ყველა ეს ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ღვაწლია. ამ თეატრის შემწეობით დასცენის მოყვარეთა დახმარებით ვეღირსეთ ამ სამკითველოსაც. სამკითხველოს მოსდის მხოლოდ „სახალხო გაზეთი“, „კოლხიდა“ და „ზაკავ. რეჩ“, წიგნებიც აკლია და არ არც ჩვენი მწერლების სურათები აქვს. საჭიროა მათი შეძენა. იმედია, რომ დრამატიულ საზოგადოების წევრებიც, მომავალ სეზონისთვისაც ფხიანად მოეკიდებიან საქმეს.

დიოგენი.

სხვა და სხვა ამბავი

გამოჩენილი მცურავი.

ამ რამდენისამე ხნის წინად ბაქოელმა მასწავლებელმა რომანჩენკომ თავი იჩინა ცურაობაში. 24 საათსა და 10 წუთში გასცურა 44 ვერსი. ეხლა, როგორც გაზეთები გვატყობინებენ, რომანჩენკოს საცურაოდ გამოუწვევია ინგლისელი მცურავი ბურგესი. იგი ლამანშზე გასცურდა. შეჯიბრება უნდა მოხდეს შემდეგის მარშრუტით: კრონშტადტი, კუნძული ვოგლანდი, კონცხი განვე. სულ უნდა გასცურონ 715 ნახ. ვერსი. შეისვენებენ შუა ზღვაში გაჩერებულ გემებზე.

ბალკანეთის სახელმწიფოთა სამხედრო ძალა.

ბალკანეთში პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა. სერბიის საზოგადოება დაჟინებით მოითხოვს ომს. ამასვე ეტყდაფს სხვა ბალკანელ სახელმწიფოებში. ამის გამო გაზეთებში იბეჭდება ცნობები ოფიციალურ პირთა განის სამხედრო ძალის შესახებ. **ჩერნოგორიას** ჰყოლია 4 დივიზია—40—45 ათასი ჯარის-კაცი და 148 ზარბაზანი. ჯარს მილიციის ხასიათი აქვს. მთელის ბიუჯეტიდან (ორი მილიონი მანეთი) ჩერნოგორია ჯარზე ჰხარჯავს 100 ათას მანეთს, გარდა იმ 650 ათასისა, რომელსაც რუსეთის ხაზინა აძლევს. **ბულგარეთს** მშვიდობიანობის დროს ჰყავს 57 ათასი ჯარის-კაცი, ომის დროს 350 ათასი. **საბერძნეთს** მშვიდობიანობის დროს ჰყავს 30 ათასი—ომის დროს 300 ათასი. განზრახულ სამხედრო რეფორმის შემდეგ 400 ათასი ეყოლება. **სერბიას** მშვიდობიანობის დროს ჰყავს 32 ათასი—ომის დროს 180 ათასი და 600 ზარბაზანი. განზრახულ სამხედრო რეფორმის შემდეგ 250 ათასი. **რუმინიას** მშვიდობიანობის დროს ჰყავს 95 ათასი—ომის დროს 300 ათასი.

თუ ვინიცობაა ომი დაიწყო, ოსმალეთს შეუძლიან ევროპის ნაპირზე გამოიყვანოს 27 ქვეითი დივიზია და ცხენოსანთა 8 ბრიგადა; აზიის ნაპირზე დარჩება კიდევ 10 ქვეითი დივიზია და ცხენოსანთა 5 ბრიგადა.

პეტერბურგში ამას წინად მწერალ გლებ უსპენსკის ძეგლიდან ვინმე კოვილევს ბრინჯაოს ბარელიეფი მოუპარნია. დამნაშავეს 6 თვით ციხე მიუსაჯეს.

ვოლოგდის გუბერნიაში გამოჩენილა ვინმე მოკალმასე სტეფანე. იგი ქადაგებს, თურმე, ქრისტეს გულისათვის უნდა ვიტვირთოთ ყოველი ტანჯვა. ახალი მღალადებელი თურმე გულმოდგინედ ქადაგობს სქესობრივ თავისუფლებას.

13 აგვისტოს, საღვარ-გარეთიდან პეტერბურგს დაბრუნდა ცნობილი მომღერალი შალიაპინი.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

20 აგვისტო.

საზღვარ-გარედ

სპარსეთის ამბავი.

ჯულფა (გამოქვეყნება დაგვიანდა). რუსეთის კონსული ჩირიკოვი მაკას რომ მიდიოდა 14 აგვისტოსა, კარა-ზიადანს ახლო სოფლელები დახვდნენ და სროლა აუტეხეს. ყაზახებმა ალყა შემოარტყეს სოფელს. უიარაღო სოფლელები გამოვიდნენ გარედ, შეიარაღებულებმა თოფის სროლა ასტეხეს. ყაზახებმა ცეცხლი წაუკიდეს და ისინიც გარედ გამორეკეს. რუსებს ერთი კაცი სასიკვდილოდ დაუჭრიათ, თითონ კი არ დაზარალებულან. სროლის დროს, მებრძოლთა ახლო ქელბალი-ხანის მხედრები გამოჩენილან, მაგრამ ბრძოლა არ დაუწყიათ.

ურმია. მერგვერის ოლქის სოფ. დიზაში, ურმიიდან 35 ვერსის მანძილზე, ქურთების დასასჯელად ჩამოვიდა 300 ქვეითა ჯარისკაცი ოსმალეთისა, 500 სუვარი და ექვსი ზარბაზანი ჩაიტანა. შემდეგ კიდევ ჩასულა 200 ქვეითა ჯარისკაცი და ორი ზარბაზანი ჩაუტანია.

თავრიზი. საპეხდარი თავის ამალითურთ ქალაქს ჩამოვიდა და კერძო კაცის სახლში დაბინავდა.

კუნძ. სამოსი,

ათინა. გუშინ აუარებელმა ხალხმა შეიყარა თავი კუნძ. სამოსზე და ოსმალეთის ჯარის განდევნა მოსთხოვა სახელმწიფოებსა. საქმეში ჟანდარმები ჩაერევნენ, მაგრამ ხალხმა იარაღი აჰყარა. ორი ჟანდარმი დაუჭრიათ.

მაროკოს საკითხი.

სენ-სებასტიანი. გარეშე საქმეთა მინისტრსა და საფრანგეთის ელჩს ბჭობა აქვთ იმის თაობაზე, თუ როგორ მოსპონ გერმანიის ოპოზიცია მაროკოში გადასახადის მოკრეფის საკითხის გამო.

ოსმალეთის მდგომარეობა.

სტამბოლი. პარლამენტის სამხედრო კომენდანტი დაპატიმრეს.

ბულგარეთის პრემიერს ოსმალეთისათვის განუცხადებია, ბულგარეთს სრულიადაც არ უფიქრია მოსაზღვრე ჯარის გაძლიერებაო.

პორტაში ირწმუნებიან, ახლახან შეწყვეტილი მოლაპარაკება ზავის თაობაზე 20 აგვისტოს ისევ დაიწყება შვეიცარიაშიო.

ვენა. „რეიხ-პოსტი“ იუწყება, გრაფ ბერტჰოლდის მიერ გამართულ

სახელმწიფოთა თათბირზე უპირველესად ყოვლისა გამოარკვევენ, რამდენად შეიძლება ოსმალეთში დეცენტრალიზაციის განხორციელება ისე, რომ „ბალკანეთის სტატუქსვო არ დაირღვეს. თუ სახელმწიფონი ვერ შეთანხმდებიან, ავსტრია-ჰუნგრეთი თავის პოლიტიკას განახორციელებს და სხვა სახელმწიფოთა ლაპარაკს ყურადღებასაც არ მიაქცევსო.

სერბია.

ბელგრადი. „ხალხის თავისუფლების“ უმთავრესი კომიტეტი ხალხს ხვალისათვის სამიტინგოდ იწვევს და მოუწოდებს ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის. ხალხის და ჯარის აღფრთოვანებას და ბრძოლის გუნებაზე დაყენებას ხელს უწყობენ ბულგარელები.

თეატრის მოედანზე დიდი ყრილობა იყო ხალხისა. ყრილობას აფიცრებიც დაესწრნენ. ყრილობას შემდეგი დაუგენია: „ოსმალეთში დატრიალებული ანარქია სერბიელების საფრთხეა, რომელნიც ახალ ბაზარში სერბიელების ამოყლეტისა და ილია პოპოვიჩის მოკვლის გამო ძლიერ აღელვებულნი არიან. ბელგრადელები ენერგიანად პროტესტს აცხადებენ ოსმალეთში მცხოვრებ ოსმალეთში თანამემამულეთა ამოხოცვის გამო. მოვუწოდებთ სერბიის მთავრობას ენერგიული ღონისძიება მიიღოს ამის წინააღმდეგ: მისი დამხმარე იქნება მთლად სერბიელობა.

დადგენილების წაკითხვის დროს გაისმოდა ძახილი: „ძირს ოსმალეთი“, ომი გვწადიან, ომიო“. ყრილობაზე წესიერება არავის დაურღვევია. თავმჯდომარედ ყოფილა სამსახურის გარეშე მყოფი გენერალი ბოჟა იანკოვიჩი. მოლაპარაკენი მთავრობას სისუსტეს უსაყვედურებდნენ.

ჩინეთი.

კაშგარი. ჩინეთის მთავრობამ წინადადება მისცა აქაურ საერობო საბჭოს, ჯარის შესანახი ფული და საშუალება გამონახეთო. საბჭო სცდილობს ყველაფრის ზედამხედველობა თითონ იგდოს ხელთა.

იუანშიკაი ვაჭრებს მოუწოდებს, შინაობაში მოვახერხოთ ფულის შოვნაო, მაგრამ ამაოდ.

ქურდები და პოლიცია.

ჰასპე (ვესტფალია). ხუთ ქურდს ქურდობაზე მიასწრეს. ქურდებმა პოლიციელი დასჭრეს და მოკურცხლეს ფოკელზანგში პოლიციელი დაჭერას უპირებდა, მაგრამ მოჰკლეს, მილსპეში პოლიციელთა რაზმთან სროლა ჰქონდათ, ორი ძლიერ დასჭრეს, ერთი მსუბუქად. ერთი ბოროტგამზრახველი დაიჭირეს, დანარჩენნი გაქცეულან.

გაგიჟებული ჯარისკაცი.

რომანსგორნი (შვეიცარია). გაგიჟებულმა ჯარისკაცმა ოთახის კარები გადარაზა, შიგ ეამაგრდა და გამვლელ-გამომვლელსა და გარს შემოხვეულ ჯარს თოფს ესროდა. გიჟმა ოთხი კაცი მოჰკლა, რვა დასჭრა. როდესაც ოთახში შეცვივდნენ, ჯარისკაცი სადღაც მიმალულიყო. იგი ძლივს დაიჭირეს, მძიმედ დაჭრილი.

1913 წლის საშაქრო ხელშეკრულება.

ბრიუსელი. იტალიას ბელგიისათვის განუცხადებია, 1913 წლის 19 აგვისტოს საშაქრო ხელშეკრულებაზე ხელი ამიღიაო.

„ჯიოკონდას“ ქურდი.

ქაირი. საფრანგეთის კონსულმა დაუპატიმრა „ჯიოკონდას“ სურათის მოპარვის თანამოაზრე.

რუსეთი

დარდანელის მდგომარეობა.

ოდესა. საზღვაო საზოგადოება აცხადებს: დარდანელის სრუტეში ნაღმები ვნახეთ, რომელიც წყალს სამხრეთისაკენ მიჰქონდაო. ამბობენ, ნაღმები ზღვაზე ატეხილ ღელვას თუ მოუგლეჯია თავის ადგილსა და შუა ზღვაში გაუტანიაო.

მოსკოვის გუბერნიის მუშები.

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის საარჩევნო სიაში შეტანილია 212594 მუშა, რომელთაც უნდა აირჩიონ 351 რწმუნებული. წინა არჩევნებში სიაში იყო 180,256 კაცი და ირჩევდა 326 რწმუნებულსა.

რედაქტორთა დაჯარიმება.

პეტერბურგი. დააჯარიმეს „ბირჟევია ვედომოსტის“ რედაქტორი — 400 მან. და „რუსკოე ზნამიასი“— 500 მან. სხვა და სხვა ხასიათის წერილისათვის.

პეტერბურგის საცენზურო კომიტეტმა დაიჭირა „ნევსკაია ზვეზდას“ 19 აგვისტოს ნომერი.

ყაჩაღების თავ-დასხმა.

ნოვოჩერკასკი. სადგ. არაცნოვსკისა და ალექსიკოვის შუა, საფოსტო მატარებლით მიმავალ მეარტელეს ხუთი ყაჩაღი დაესხა თავსა. ასტყდა საშინელი სროლა, რამაც ძლიერ დააფეთიანა მგზავრები. მატარებელი გაიჩერეს. მცარცველნი მიმალნენ. დაჭრილია მეარტელე და ერთი მგზავრი. ფულს არა დაჰკლებია რა.

წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულ ზედა-ილმის სკოლას შემდეგი ნივთები და ფული: მამა მღ. ვასილ გორგაძეს, შემოსწირა ექვსი სამოწაფო მაგიდა ღირებული თითო სამ მანეთად. ქ-ნ მღ. ვასილ გორგაძის მეუღლეს მარიამს შემოსწირა ორი სურათებისთვის ჩარჩო ღირებული (თითო) ორ მანეთად. ბ. ტრიფონ როსაფის ძე გორგაძეს, რომელმაც შემოსწირა ორი მაგიდა ღირებული ექვს მანეთად და ამავე სკოლის მეორე მასწავლებელს ტიხონ რ. ნიქაბაძეს, რომელმაც შემოსწირა ფულათ ხუთი თუმანი.

პატივისცემით ზედა-ილმის სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე **გორგაძე.**

ჩვენი დაუღალავი, საზოგადო მოღვაწის და ქართველი პედაგოგის ეგნატე მაკარის ძე ხრამელაშვილის ცხედრის შესამკობ გვირგვინის ნაცვლად, ამასთანავე გიგზავნით 160 ცალს თხუთმეტ მანეთად ღირებულს ქართულს სახალხო წიგნაკებსა და გთხოვთ გადასცეთ სტამბოლის ქართულს სამკითხველოს ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში დასარიგებლად.

დავშთები თქვენი პატივის მცემელი

სოსიკო მერკვილაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კუჩდღელაშვილი.

გამოსაღეგი ცნობა

მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, დამის წ. 12 ს. 10**სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით დამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საავარაკო მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულუფისკენ: საფოსტო № 74/75 დამის 2 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათუმიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, დამ. [illegible] ს. 40 წ.

მცხეთიდან: საავარაკ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

ერევნიდან საქონ. და **სახ.** № 80|81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, დამ. 8 ს. 33 წ.

განცხადებანი

600 ნივთი 2 მ. 90 კ.

25 მანეთის მაგიერ.

ჩვენი ფირმი გასაცნობად, ვგზავნით 600 სასარგებ. და ძვირფას ნივთს, ამათში უმთავრესია, საუცხოო უბის საათი ათის წლის თვალობით, ოქროს დუბლა-ძეწკვი ქალისა და კაცის, დუბლა-ოქროს ბეჭედი ამერიკულ ბრილიანტ. ასეთივე მანიკი, ბროშკა და საყურეები (ნამდვილ 00 მანეთიანიდან ვერ გაარჩევთ. ყველა 600 ნივთისათვის მხოლოდ 2 მ. 90 კ. ვგზავნით. მარტო საათი ღირს 6 მანეთად. ფასდადებით გაგზავნით ერთიდან სამ წყებამდე ერთად გაგზავნით ემატება 25 კ., ცალმხრივ—25 კ. დაწუნებულს უკან ვდებულობთ, ფულსაც ვაბრუნებთ.

O-во Мерку ін Л дзъ.

Мэтцлъ 7811. (2.1430.1)

გ. და მ. ტერ-დავიდიანცის

საგუკალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე ს. ღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—9)

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა № 12.

სამშოგიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-მდე მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.51)

ექიმ ნავასარდიანის პირველი პერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დილით:

„606“ — 11—12 ს. შეშხაკუნება

კონსულტატიურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

ბ. გ. ბგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ბვეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

საღამოთი:

მ. გ. ბვეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1078.195)

ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. **თელავში.** 3—9 საათამდე.

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფს:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ვნუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სთ.

ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროს ოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწვებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—96)

ფეხსაცმელები

თომა დ. ჯანუარაშვილის

მაღაზია-სახელოსნოში

მუხრანის ქ., № 2. ყოველ ნაირი ფეხსაც. საუკეთ. მასალ., ზომიერ ფასებში.

(25.549.15)

!!! გრცხვენოდეთ !!!

თქვენი ტანისამოსი სულ ლაქებშია მოთხვრილი, „ბაშინ როდესაც შეიძლება სრულებით გაიხლოთ მხოლოდ იყიდეთ ლაქის ამომყვანი **კრემი**



ყოველთვის სუფთად იქნებით.

იყიდება მხოლოდ ბაკალ. საოფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხ. მაღაზიებში: ტფილისში, ბაქოში და ბათომში. (10.125—8

ეკონომიური

ე. ა. ცაგუროვის დეპოზი

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი

რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.

ფასები 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.

ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.

(40—1400—11)

საუკეთესო მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა!!!

თევზის მრეწველნი

ძმ.

ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712.

ყურადღება!

მშვენიერი გემოსი და სურნელოვანია. მომზადების საუკეთესო საშუალების წყალობით დიდხანს უძლებს გადატან-გადმოტანას და ამიტომ ვურჩევთ საგარაკოდ და საზღვარ-გარედ მიმავალთ მის შეძენას.

მიგიღეთ აგრედვე ბოჭკის საუკეთესო

ხიზილალა,

გირვანქა 1 მ. 60 კ.

(წ.1131.235)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

გუხჰალტერიის პრაქტიკული კურსები

და კომერციული ანგარიში

ი. ფ. კალაჩნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

19 2—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანად და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა გუხჰალტერიისა და სალაღებ-მიცემო მიწერ-მოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **გუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურ, გერმანულ. ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად საკალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) ბ) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ სალაღებ-მიცემოს, საბანკოს, საკარნნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისა. 2 საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) სალაღებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზი და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე სალაღებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.

მასწავლებლად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25.447.2)

თ. მთავრიშვილისა

და ამხ. წიგნის მაღაზიისა ქუთაისში,

ამ წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1416.7)

საკანცელარიო მაღაზია

დ. და კ. ოცხელეგისა,

ქუთაისში,

ამა წლის აგვისტოს

15-დან გადადის

ახალ ბინაზე—ძველი ბინის პირდაპირ, ზ. კოკოჩაშვილის სახლში, სადაც ელექტრო-თეატრი **„თამარ“** იმყოფებოდა.

(8.1415.7)

დაიბეჭდა და მალე გამოვა გასასყიდად

თ. მთავრიშვილისა

და ამხ წიგნის მაღაზიის

ახალი გამოცემები:

1. სამშობლოს აღწერა, სკოლებისათვის შედგენილი ს. რობაჭიძის მიერ, ფასი ყდით 10 შაური.
2. მოკლე ქართული გრამატიკა, შედგ. ს. ხუნდაძის მიერ, ფასი 1 აბაზი.
3. ქართული ლოცვანი, შედგ. მღვ. ა. გერსამიას მიერ, ფასი 2 შაური.

(8.1417.7)

თ. მთავრიშვილისა

და ამხ. წიგნის მაღაზია

ქუთაისში

აცხადებს, რომ დაიბეჭდა და ურიგდება ხელის-მომწერთ **კიტა აბაშიძის**

„ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ“,

ტომი მეორე. აგენტებს სთხოვენ, ხელის მომწერთ სია და მათგან მიღებული ფული საჩქაროდ გამოუგზავნონ წიგნის მაღაზიას. (8.1418.7)

გაღი ედემი ვერაზე

მომჩქეფარე, მოჩქრიალე ჩანჩქრებისა და ფოთოლთა შრიალის გამო „ედემის ბაღში მუდამ გრილა და ჭერიც სუფთაა. უკრავს უნგრეთელ ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი ვაიერის ლოტბარობით ნაშუადღევის 3—7 საათამდე და ღამის 10—2 საათამდე. ბუფეტში ყველანაირი სასმელი იშოვება. საჭმელები აზიური და ევროპიული. შეიძლება სადილებისა და ვახშმების შეკვეთა. მუდამ იშოვება „ცოცხალი“ თევზი. სანოვაგის სისადეში თავდებნი ვართ. **ტელეფ. № 296.**

სრულის პატივისცემით

(25.1344.25) **კ. ბაქრაძე.**

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საკომერციო ცოდნათა კურსები

ტ. მ. ფილოიანისა,

(ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. 976).

სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟების და ქალებისათვის. კურსის დამთავრ. შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster romtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

საგნები: ა) სავალდებ.: 1) ბუხჰალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო; 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური ეკონომია. 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება). 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) არა სავალდებულო: 1. **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრედვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 იანვრიდან. პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები ჯარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ალაგის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 22 მსმენელი იყო, ამათგან 42 ქალი. (თ. 451.2)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ნ. ვ. აბრაამიანის საგუკალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დასწავლიან ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები,** სტენოგრაფია და რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ კალეგ საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (თ. 1450 2)